

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის
ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შესრულების
ანგარიში**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსულობების მიმდინარე დაზუსტებული გეგმა განსაზღვრული იყო 18 098 401 ლარით, ფაქტიურმა შემოსავლებმა კი შეადგინა 18 151 249 ლარი, გეგმა შესრულებულია **100.3%-ით**.

გარდა ადგილობრივი შემოსავლების და სხვა შემოსავლებისა, ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილი იყო აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის წლიური გეგმა შეადგენდა 3 928 700 ლარს, ფაქტიურად მიღებულია 3 928 700 ლარი გეგმა შესრულებულია 100%. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4 027 258 ლარს ფაქტიურად მიღებულია 2 759 850 ლარი ანუ 68,5%. (აუთვისებლობა კაპიტალურ ტრანსფერში გამოწვეულია ახალსოფლის ხოფოს წყალმომარაგების პროექტზე მშენებელი კომპნიის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობით.) განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის წლიური გეგმა შეადგენდა 5 950 000 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 6 501 494 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 109.3%-ით. სხვა შემოსავლების 2018 წლის წლიური გეგმა შეადგენდა 2 917 736 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 3 745 808 ლარი, ანუ 128.4%. (თუ შევადარებთ 2017 წლის ფაქტს გასულ წელთნ მიმართებაში სხვა შემოსავლები 2 166 960 ლარით მეტია შემოსული.) მათ შორის:

- შემოსავალი სესხის, დეპოზიტის, ვექსელის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი) წლიური გეგმა შეადგენდა 300 948 ლარს, ფაქტიურად შესრულებამ შეადგინა 300 948 ლარი. გეგმა შესრულდა 100.%-ით.
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან გეგმა განსაზღვრული იყო 204 665 ლარი შესრულებამ შეადგინა 207 065 ლარი, ანუ 101.2%;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან გეგმა შეადგენდა 40 000 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ კი შეადგინა 42 485 ლარი, ანუ 106.2%
- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან გეგმა შეადგენდა 160 962 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 174 146 ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 108.2%-ით;
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) გეგმა შეადგენდა 597 330 ლარს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 618 076 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 103.5 %-ით.
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 180465 ლარით ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 267 828 ლარი გეგმა შესრულდა 148,4%.
- შემოსავლები არაფინანსური აქტივებიდან გეგმა შეადგენდა 224 707 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 224 894 ლარი. გეგმა შესრულდა 100.1%.

იხილეთ დანართი #1.

2018 წლის ხარჯვითი ნაწილის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 18 522 277 ლარს, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 16 378 022 ლარი, გეგმა შესრულდა 88.4% -ით. იხ.დანართი N2-4. 2018 წელს ბიუჯეტით სულ განხორციელდა **104** ინფრასტრუქტურული ღონისძიება ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 5 490 767 ლარი მათ შორის განვიხილოდ დარგობრივად:

- | | |
|---|-------------------|
| 1. გზების მოწყობა რეაბილიტაციით არმირებით გაკეთდა 14 პროექტი | - 1 214 722 ლარი. |
| 2. დაეგო მზა ბეტონი 5264კმ მუნიციპალიტეტის მასშტაბით | - 631 716 ლარი. |
| 3. ფერდამცავი კედლები მოეწყო 26 ფერდამცავი | - 385 658 ლარი. |
| 4. გარე განათება რეაბილიტაცია გაკეთდა 1 სოფელში | - 18 619 ლარი. |
| 5. წყალმომარაგების ღონისძიებებით გაკეთდა 29 პროექტი | - 2 138 381 ლარი. |
| 6. კეთილმოწყობის ღონისძიებებით მოეწყო 22 პროექტი | - 42 371 ლარი. |
| 7. ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამით მოეწყო 7 ამხანაგობის პროექტი | - 137 723 ლარი. |
| 8. განათლება მოეწყო 2 პროექტი (1-სკოლა,1-ბაღი) | - 262 652 ლარი. |
| 9. კულტურის სახლების რეკონსტრუქცია მოეწყო 1 პროექტი | 468 415 ლარი. |
| 10. სტადიონებისა და მინი საფეხბურთო მოედნების მშენებლობა | |

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში წლიური გეგმა შეადგენდა 2 998 237 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 2 819 717 ლარს, ანუ გეგმა შესრულდა - 94. %-ით.

მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯვითი ნაწილმა შეადგინა 255 647 ლარი. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 60 048 ლარი. სულ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან და აჭარის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 505-ოჯახს მათ შორის:

1. ხანძრის შედეგად დაზარალებულ 10-ოჯახს 65 373 ლარი.
2. სტიქიის შედეგად დაზარალებულ 6-ოჯახს 7 143 ლარი.
3. საცხოვრებელი ფართის ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფისათვის 16 ოჯახს 48600 ლარი,
4. სიღარიბის ზრვარზე მყოფი 12 ოჯახს დახმარება 9300 ლარი.
5. მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფ 454 მოქალაქეს გაეწია ფინანსური დახმარება 183 179 ლარის ოდენობით.
6. 7-მარტოხელა დედას ფინანსური დახმარება 2100 ლარი. იხილეთ დანართი #3 და #3/1

თავდაცვის სფეროში:

- წლიური გეგმა შეადგენდა 88200 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 87271 ლარს, ანუ 92.8%.

ეკონომიკური საქმიანობა

წლიური გეგმა შეადგენდა 2 098 830 ლარს, ფაქტიურ შესრულება კი 1 937 182 ლარი, ანუ 92.3%. მათ შორის ფერდსამაგრი კედლების მოწყობისათვის გეგმა შეადგენდა 406 664 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 385658 ლარი ანუ 94,8% მუნიციპალიტეტის მასშტაბით 18 ოჯახს გაუკეთდა ფერდსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოები და 8-ფერდსამაგრი მოეყო გზებზე.

-გარემოს დაცვა

წლიური გეგმა შეადგენდა 1907 210 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 1086 918 ლარი, ანუ 99.1%, მათ შორის: სანიტარული დასუფთავების ხელშეწყობისათვის შეძენილი იქნა 290-ერთეული სანაგვე ურნა მათ შორის 220 დიდი და 70 პატარა ღირებულებით 125 560 ლარის ოდენობით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა

-საბინაო კომუნალური მეურნეობა წლიური გეგმა 6 371 932 ლარი, საკასო შესრულება კი 3 675 620 ლარი, გეგმა შესრულდა 68.4%-ით: მათ შორის:

კომუნალური მეურნეობის განვითარება გეგმა შეადგენდა 1 066 155 ლარს, საკასო შესრულება კი 542 303 ლარი, გეგმა შესრულდა 50.9%-ით:

ამახანაგობის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დაიხურა 7 სახლი მათ შორის:

1. შუა მახინჯაურში 1- ქ#2 ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები-18090 ლარი.
2. სალიბაურის მე-3 ქუჩა, სახლი N10-ის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები-11868 ლარი.
3. სალიბაურის მე-3 ქუჩა, სახლი N13-ის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები-7377 ლარი.
4. სალიბაურის პირველი ჩიხი II სახლი N5-ის სადარბაზოსა და ფასადის რეაბილიტაცია-9978 ლარი.
5. სოფელ განთიადში ქუჩა N17-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავის მოწყობა-28095 ლარი.
6. სოფ.ჭარნალში ქუჩა N32- მდებარე N5 და N7 ჩიხის საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწყობა-24703 ლარი.
7. სოფელ წინსვლაში სახლის N51-ის სახურავის მოწყობა 37614 ლარი.

წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 953 680 ლარს საკასო შესრულება კი 2 796 241 ლარი, გეგმა შესრულდა 70,7%-ით: მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოეწყო 29-წყალმომარაგების სისტემა. იხ. დანართი #4

- გარე განათებაზე წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 352097 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 337 076 ლარი, ანუ 95.7%. რეაბილიტაცია ჩატარდა განთიადის გარე განათებას.

-ჯანდაცვის სფეროში

ჯანდაცვის სფეროში არის 7-(შვიდი) მიზნობრივი პროგრამა, აღნიშნული პროგრამების წლიური გეგმა შეადგენდა 352 078 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შედგინა 351287 ლარი, ანუ 99.7%. მათ შორის:

1, ეპილექსიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა წლიური გეგმა შეადგენდა 47204 ლარს, საკასო შესრულება კი 47140 ლარი ანუ 99.8 %, საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 138 ბენეფიციარს ასაკისა და სოციალური სტატუსის შეზღუდვის გარეშე.

2, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენდა 18520 ლარს, საკასო შესრულება კი 18515 ლარი ანუ 99.9 %,

3, დიალიზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა გეგმა შეადგენდა 23898 ლარს, საკასო შესრულება კი 23823 ლარი ანუ 99.7 %, პროგრამით ისარგებლა 34 ბენეფიციარმა.

4, მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარების პროგრამა გეგმა შეადგენდა 153400 ლარს, საკასო შესრულება კი 153037 ლარი ანუ 99,7%.

5. პარკინსონით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა გეგმა შეადგენდა 18024 ლარს, საკასო შესრულება კი 18023 ლარი ანუ 100,%. პროგრამით ისარგებლა 44 ბენეფიციარმა.

6. ბრონქმული ასთმით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა გეგმა შეადგენდა 13632 ლარს, საკასო შესრულება კი 13348 ლარი ანუ 97,9%. პროგრამით ისარგებლა 73 ბენეფიციარმა.

7. თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის პროგრამა გეგმა შეადგენდა 77400 ლარს, საკასო შესრულება კი 77400 ლარი ანუ 100%. პროგრამით ისარგებლა 50 ბენეფიციარმა.

დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში

- წლიური გეგმა შეადგენდა 1360 632 ლარს, საკასო შესრულება კი 1325 066 ლარი ანუ 97,4 %, მათ შორის:

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში წლიური გეგმა შეადგენდა 284433 ლარს, საკასო შესრულება კი 262660 ლარს, ანუ 92.3%: მათ შორის: მოეწყო მინი მოედანი სოფელ სარფში კალენდერეს დასახლებაში და სოფელ მახოში.

- კულტურის ღონისძიების გეგმით გათვალისწინებული 63000 ლარიდან საკასო შესრულებამ შეადგინა 62929 ლარი. ანუ 99.9%:

განათლების სფეროში

- წლიური გეგმა შეადგენდა 4 224 255 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 190347 ლარი, ანუ 99.2%, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდა- წლიური გეგმა შეადგენდა 3 446 470 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 430 090 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 99,5%. დაგეგმილი იყო ორთაბათუმის ბღის მშენებლობა და ინვენტარის შეძენა.

- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

- წლიური გეგმა შეადგენდა 713 786 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა

697 864 ლარი, ანუ 97,8%, მათ შორის აღსანიშნავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 40000 ლარს, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 52 სტუდენტმა.

-

- **სოციალური დაცვის სფეროში**

სოციალური დაცვის სფეროში არის 8-(რვა) მიზნობრივი პროგრამა,

- წლიური დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 547 046 ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 540 961 ლარი, ანუ 98.8%, მათ შორის:

1, (უფასო სასადილოები) – გეგმა შეადგენს 35 770 ლარს, საკასო შესრულება კი – 35 770 ლარს, ანუ 100%, პროგრამით სარგებლობს 49 ბენეფიციარი.

2, ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება გეგმა შეადგენს 5200 ლარს, საკასო შესრულება კი – 4450 ლარს, ანუ 85,5%, დახმარება გაეწია: მეორე მსოფლიო ომის 1 მონაწილეს (500ლარის ოდენობით) და ომში დაღუპულ მებრძოლთა 2 ოჯახს (თითოეულს 300 ლარის ოდენობით). ავღანეთის ბრძოლებში დაინვალიდებული 2-პირი, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ოჯახზე- 5 ოჯახს (თითოეულს 400 ლარი). ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი 1-ინვალიდი.

3, მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენდა 900 00 ლარს, საკასო შესრულება კი – 90 000 ლარს, ანუ 100%, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია: მე-3 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 115 ოჯახს; მე-4 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 22 ოჯახს და მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 7 ოჯახს.

4, მრავალშვილიანი და დედამამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენს 25000 ლარს, საკასო შესრულება კი – 25000 ლარს, ანუ 100%, პროგრამით ისარგებლა 25 მრავალშვილიანმა ოჯახმა - 24000 ლარი და დედ-მამით ობოლ 1 ბენეფიციარმა - 1000 ლარი.

5, 0-დან 70000 ჟულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენს 8400 ლარს, საკასო შესრულება კი – 8400 ლარს, ანუ 100%, წლის განმავლობაში დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 28 ოჯახს.

6, 0-200000 ჟულის მქონე ოჯახებს პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გეგმა შეადგენს 11400 ლარს, საკასო შესრულება კი 9800 ლარს, ანუ 85,9%, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია:

პირველი შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 2 ოჯახს; 600 ლარი, მე-2 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 23 ოჯახს 9200 ლარი;

7, ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა გეგმა შეადგენს 56 560 ლარს, საკასო შესრულება კი – 53 126 ლარს, ანუ 93,9%, საანგარიშო პერიოდში პროგრამით ისარგებლა 136 ბენეფიციარმა.

8. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი დახმარება გეგმა შეადგენს 1000 ლარს, საკასო შესრულება კი – 1000 ლარს, ანუ 100%, პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა.

9, სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე დახმარების უზრუნველყოფა დაზუსტებული გეგმა (სარეზერვო ფონდიდან) 313415 ლარს საკასო შესრულებამ შეადგინა 313415 ლარი ანუ 100%. პროგრამით ისარგებლა 505-ოჯახმა.

ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1 973 134 ლარს ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 3 753 932 ლარი,

ხოლო რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 88.4% რომელიც შესრულებულია წლის მდგომარეობით დადებითია.